ლიზი ტალახაძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,Erasmus+ არ იყო მხოლოდ მოგზაურობა საზღვარგარეთ, ეს იყო გზა საკუთარი თავის აღმოსაჩენად. ჩემთვის ეს პირველი ფრენა იყო, სრულიად უცხო ქვეყანაში ცხოვრებაც პირველად მიწევდა და საკუთარი კომფორტის ზონიდან გადაბიჯებაც. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს რაღაც უცნობისკენ მივდიოდი, თუმცა მალევე გავიაზრე თუ რამდენად მარტივად შეუძლია ადამიანს ყველაფერთან ადაპტირება.

ნიდერლანდებში ცხოვრებამ და ინჰოლანდის უნივერსიტეტში სწავლამ ცოდნის გარდა პერსპექტივაც მომცა. შევხვდი ადამიანებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, თითოეულს თავისი კულტურითა და ისტორიით. ჩვენ ერთად ვმუშაობდით რეალურ პროექტებზე ლოკალურ კომპანიებთან, ვიზიარებდით იდეებს და ვსწავლობდით ერთმანეთისგან, რაც ბევრად უფრო საჭირო პრაქტიკული გამოცდილება იყო ვიდრე თეორიული ცოდნა.

აღტაცება, მღელვარება, სიხარული, შიში, მონატრება და სიყვარული თითქმის ყოველი დღის განუყოფელი ნაწილი იყო, თუმცა სწორედ ესაა ის გრძნობები რომელიც ადამიანს ადამიანად აქცევს. გავბედავ და ვიტყვი, რომ ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი სიცოცხლით სავსედ. თითქოს ყოველ წამს, ყოველ საუბარს, ყოველ ახალ გამოცდილებას აზრი ჰქონდა და ნაყოფიერი იყო.

ნამდვილად არ ველოდი თუ სამშობლოდან ასე შორს ყოფნა უფრო გამიღვივებდა მისდამი სიყვარულს. მეშინოდა რომ თუ საქართველოს დავტოვებდი უკან დაბრუნება აღარც მომინდებოდა, თუმცა ახლა ბევრად უფრო მოტივირებული ვარ რომ ეს დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება სწორედ საკუთარივე ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებას მოვახმარო. მუდამ მადლიერი ვიქნები თითოეული იმ ადამიანის, ვინც დამეხმარა რომ ეს საუკეთესო გამოცდილება მიმეღო.